ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3313169

ნომერი: AR1502989

თარიღი : 11.05.2017

გაცემის თარიღი : 09.06.2017

გაცნობის თარიღი : 09.06.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნიორაძე , N 4 / ქალაქი თბილისი , ნიორაძის N4-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ კახიანი პ/ნ 01008002748
- თბილისი ირ. აბაშიძის 48

ორგანიზაცია:
- შპს "მიკროსაფინანსო ორგ. იზიკრედ ჯორჯია კოდი: 205267584

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1602335
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 26.11.2014

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნიორაძის ქ. N4 / ნიორაძის N4–ის მიმდებარედ, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 22.03.2017 წ. N№-10/0117018134-17 ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების და ანაზომების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ:
- 26.11.2014 წლის №1602335 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოდაგენდა 06.06.2014 წლის N 1295382 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. სადაც მითითებული იყო ,,მოეწყოს ბინების შესაბამისი რაოდენობის დახურული ან ღია ავტოსადგომები, რომლებიც უნდა განთავსდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტროს საზღვრებში''. თქვენს მიერ პროექტის დარღვევით განხორციელებული მშენებლობის შედეგად -3.30 ნიშნულზე გაუქმებულია ავტოსადგომი.
- არსებული მდგომარეობის ანაზომებზე მითითებულია მომიჯნავე საკადასტრო (01.17.01.102.002) და მასზე განთავსებული კიბე და პანდუსი. საპროექტო შენობა ერთზე მეტ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ვერ იქნება;
- წარმოდგენილი განაშენიანების კროკის მიხედვით გაზრდილია განაშენიანების ფართობი (შეთანხმებულ პროექტში იყო 256.2, ანაზომებზე არის 288.0 კვ.მ);
- წარმოდგენილი კ2 კოეფიციენტების საანგრიშო კროკების შესაბამისად მინიჭებულ კოეფიციენტთან შედარებით კიდევ გადამეტებულია კ2 კოეფიციენტი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.